პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, პირველი მაისი 1926 წელი.

# ტარტაროზი

№ 47

ფასი ორი შაური

ეროვნული ბიბლიოთეკა
წიგნთსაცავი



ახლოვდება და შოდის
კაპიტალის დაისი,—
და მას უკან მოჰყვება
წითელ სხივით აისი.

ჩაქუჩი და ნამგალი
სიმბოლოა შრომისა;
ემუქრება კაპიტალს
მსურველს კიდევ ომისა.

ახლა აქ თუ ზეიმობს
დღეს პირველი მაისი,—
სხვა ქვეყნებსაც მიუძღვნის
პირველ მაისს გაისი.

ჩვენ წინ ვინ დაგვიდგება,
ძალ-ღონე გვაქვს ლომისა..
ჩვენ დავამხობთ კაპიტალს
მსურველს კიდევ ომისა.

ო. შლინგი



# ტარტაროზის დარიგება

პირველი მაისი. პირველი მაისი. პირველი მაისი.

ასე გაისმის დღეს მთელ მსოფლიოში. ამას გაიძახის მშრომელი ხალხი, ამას გაიძახის მშრომელი ხალხის ხელმძღვანელი ხალხი, წრფელი გულით.

ამასვე გაიძახის არა მშრომელი ხალხის, ანუ მდაბიოთ რომ ვთქვათ, სხვისი ოფლით მცხოვრებლების, ანუ კიდევ უფრო მდაბიოთ რომ ვთქვათ, მუქთა ხორების, ანუ სულ მდაბიოთ რომ ვილაპარაკოთ, მუქთამჭამლების მესაიდუმლე ხალხი*). გაიძახის იმიტომ, რომ ამით სურს როგორმე შეინარჩუნოს მშრომელი ხალხის ყურადღება. ასეთი პირმოთნე საზოგადოება, როცა ხალხისკენ იხედება, ასე იძახის: **გაუმარჯოს პირველ მაისს!**

როცა ბურჟუაზიისაკენ მიიბუნებს პირს, მაშინ კი— **ძირს პირველი მაისი.**

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მათი არც მომხრობა და არც გადამხრობა გვაინტერესებს.

ჩვენ გვაინტერესებს ის გარემოება, რომ დღეს პირველ მაისს 1926 წელს „ტარტაროზი" მეტად კარგად გრძნობს თავს, ჯან-ღონით სავსეა და თუ საჭირო დარჩება, მტერს ისეთ სარმას გაუკეთებს, რომ ყველა მოჭიდავეს და ჩემპიონს გააფასებს.

რა აზრის არის „ტარტაროზი" პირველი მაისის შესახებ?

რომ ეს ამბავი (ტარტაროზის შეხედულება პირველ მაისზე) გამოგვერკვია, ჩვენ მასთან გავგზავნეთ საკუთარი კორესპონდენტი, ჟურნალ „ტარტაროზის" გენერალური ინტერვიუერი (წარმოიდგინეთ, ასეთი თანამდებობაც არსებობს), რომელიც ესტუმრა ტარტაროზს ინტერვიუს გამოსართმევად, ანუ სასაუბროთ.

ტარტაროზმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ვრცლად დაახასიათა მსოფლიო ეკონომიკა და აღნიშნა, რომ მუშათა მოძრაობა მეტად კარგი საქმეა.

სხვათა შორის ტარტაროზი შეეხო პირველ მაისის დღესასწაულის წარმოშობის საკითხს და მიუთითა, რომ ეს დღე ღვინის სმის დღე კი არ არის, როგორც ამას ფიქრობენ ზოგიერთი დიდმუცელა გამგეები, სპეცები სპეციალისტები და სხვები, არამედ ეს არის უაღრესად დიდი დღესასწაული, როდესაც საჭიროა ყველა მშრომელი განიმსჭვალოს ამ დღის მნიშვნელობით.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე: მიეცემა თუ არა პირველ მაისის გადაჭარბებულ ქეიფში (როცა ქეიფი შუაღამეს გადაშორდება) მუშა-მოსამსახურეს ასანაზღაურებელი ფული,— ტარტაროზმა განაცხადა, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიეცემათ და ამიტომ სჯობია, მეტის-მეტი სმით თავს ნურავინ შეიწუხებს.

უკვე წელიწადზე მეტია,—სთქვა ამხ. ტარტაროზმა, —რაც ჩვენ ვიდღესასწაულეთ პირველი მაისი შარშან. მე მახსოვს, რომ ხუდადოვის ტყეში დილით წასული ხალხი მეორე დილით ძლივს მოიყვანეს სახლებში. სასურველი იქნება, თუ ასეთი დაგვიანება ყველა ქალაქებში არ განმეორდება.

აქვე უნდა აღინიშნოს ზოგიერთ გაუფრთხილებელ მოქალაქეთა საყურადღებოდ,— დაუმატა ტარტაროზმა, —რომ შარშანდელის მგზავსად არ შეიძლება ოჯახის ყველა წევრი წავიდეს სახლიდან საქეიფოთ. ამით სარგებლობს ზოგიერთი უპატიოსნო ქურდი და სახლიდან წასულ მოქალაქის ბინიდან გააქვს დარჩენილი სურსათ-სანოვაგე და ხშირად ნივთებიც.

ბოლოს ამხ. ტარტაროზმა აღნიშნა, რომ სასურველია მომავალში ყოველწლიურად იმართებოდეს პირველ მაისობა მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებშიაც ისევე თავისუფლად, როგორც საბჭოთა კავშირში.

**ალლარ-ალლარსანი.**

*) მხედველობაში გვყავს მეორე ინტერნაციონალი.

# ვერანი

ეროვნული ბიბლიოთეკა




მიმაჩინჩრიკებს უგზო-უკლოდ აგი ვერანი,
ქარზე ფრიალებს მისი თმა და ანაფორანი.
გასწი მზაკვავო, შენს ჩინჩრიკსა არა აქვს ზღუდე
და გადალახე ეკლესიის მაღალი ზღუდე.
არ შემებრალვი შენ ხუცესო მე არასოდეს,
გახსოვს ოდესცა შენი ჯორი თოხარიკობდეს?
მიგქონდათ მაშინ შენ და შენ ჯორს საკურთხი
ბლომად
და ყოველ კვირას თქვენს ოჯახში იყო აღდგომა.
თუ ვერ გაჭენდი რიგიანად, ეს კი იცოდე
არა და არა, არაფრამდე არ შეგიცოდებ.
გეყოფა ეშმაკს გაუწიე რაც სამსახური,
ახლა დრო არის აგოგაცხოთ შენ ნიშადური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იცვლება დრო,—იცვლება ხალხი



ქრისტე: ფარისევლებმა და წიგნობრებმა მაწამეს და ჯვარზე გამაკრეს... დღეს კი დრო ისე შეცვლილა, რომ იგივე ფარისევლების და წიგნობრების წიწილები თაყვანს მცემენ.

# ტარტაროზის სააღდგომო მზადება

ამბავი იმის შესახებ, თუ რა თვისების საქონელი იყიდა ტარტაროზმა სააღდგომო დასაკლავათ და შესახრამუნებლად.

— აბა გოჭი, კარგი გოჭი, გოჭი გოჭმაჭი-ი-ი!

— რა ღირს ყმაწვილო ეს გოჭი? შეკითხა ტარტაროზი გამყიდველს, რომელიც რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყვიროდა თავის გოჭის თვისების შესახებ.

— გოჭი, ბატონო?! ჰმ! ეს გოჭი არა? თქვენ ჯერ ნახეთ, კარგათ გაშინჯეთ, ეს ისეთი არ არის თქვენ რომ გგონიათ, ნუ ფიქრობთ, რომ ეს არის მართლა ჩვეულებრივი გოჭი!

— მაშ რა არის, კაცო, რა გოჭია მაგი ისეთი?

— ჰმ! ეს გოჭი თქვენ მართლა უბრალო გოჭი ჰგონიათ?

# ეკლესიაში



**მღვდელი** (დიაკონს): კირილე, შეხედე შეხედე, როგორ გასქელებია გავა ამ ჩვენს მატრონეს?! ხედავ: პეტრე და ივანე თაყვანს სცემენ!!!

**დიაკონი**: არ არის ღირსი თუ?! მაგაზე უკეთესს ვის უნდა სცენ თაყვანი... უფალო შევიწყალეეეე!!!

---

— მაშ რა არის თუ ძმა ხარ?

— არა, გოჭი არის, მაგრამ როგორი?! იცით ეს ვინ არის?

— ვინა?

— ეს ყმაწვილი გახლავთ სრულიად საგოჭეთის სამეურნეო ტრესტის ქარხნის ზავროზი, იმიტომ არის ასე გასუქებული. მაგრამ ამის და სამწუხაროდ გამოაბრძანეს. ჩვენ ცავიღეთ და ვყიდით მას, როგორც სავარგის საქონელს.

— რა ღირს?

— თქვენ წაიყვანეთ და ფასზე შემდეგში მოვრიგდებით, განა თქვენთან რამე დამეკარგება?

— მაშ კარგი! სთქვა ტარტაროზმა, გოჭი იღლიაში ამოიდო და გაემართა მეორე მხარისაკენ.

—:—

— ვაჰ, ვაჰ, ფაჰ, ფაჰ, ფაჰ! ყვიროდა ერთ კუთხეში ვიღაცა. ღმერთმანი მე თვით ვერ გამიგია, რით არის ესე გასუქებული ეს ინდაური, ერთი ამას დამიხედეთ, როგორ ალასავით იყურება, ასე გონია ქვყანაზე ორი ვინმეა დარჩენილი, ერთი რომის პაპა და მეორეც ეს ვირის თავი!

— როგორ ყიდით ყმაწვილო მაგ ინდაურს?—ჰკითხა მას ტარატაროზის მეუღლემ, ქალბატონმა ტარტაროზინამ.

— ამ ინდაურს, ქალბატონო? ეს ინდაური კი არ არის, ეს შველია, ირემი და არა ინდაური. ეს გახლავთ დიდი თანამდებობის ვინმე, ერთ დროს იგი იყო ინდაურთა დემოკრატიულ რესპუბლიკის მომარაგების სამინისტროს დიდი მოხელე, ამ უკანასკნელ ხანებში კი ერთ ჩვენ სამეურნეო დაწესებულებაში შეძვრა გამგეთ.

— მერე და მაგ თანამდებობის ინდაურს დასაკლავად ჰყიდით?

— ვყიდით, ქალბატონო, ვყიდით. ჩვენ კიდევ არ გავიმეტებდით და არ გავყიდდით. მაგრამ მაგან მოგვინკაცს აღარ ცნობილობდა. პირდაპირ თავი მოგვაბეზრა, დომა გაყიდვა. საშინლათ გამედიდურდა გადიდკაცდა, ერთი სიტყვით გადაიქცა პირწავარდნილ ბიუროკრატად. ჩვენს დაწესებულებებში, კი, როგორც მოგეხსენებათ, ბიუროკრატიზმს ძლირ სდევნიან.

— როგორ ჰყიდით?

— ჰმ! თქვენთან ფასი რა სათქმელია. წაიყვანეთ და რაც თქვენი სურვილი იყოს, ის გამომიგზავნეთ.

— ტარტაროზინამ გამოართვა ინდაური და გადასცა ტარტაროზს.

—:—

ცოტა ხანი კიდევ გაიარ-გამოიარეს ტარტაროზმა და მისმა პატივცემულმა მეუღლე ტარტაროზინამ.

— გენაცვალე, ბატკანს ნუ ვიყიდით? შეეკითხა ტარტაროზინა.

— ვიყიდოთ, როგორ არა! ეს დალოცვილები ყველაფერს ნისიად იძლევიან და ნაალდგომევს ალბათ გონორარს ავიღებ და გადავუხდი.

მიუახლოვდენ ერთ შეჭალარებულ კაცს, რომელსაც თოკით ეჭირა ხელში მსუქანი ბატკანი.

— ყიდით? შეეკითხა ტარტაროზი

— დიახ, ბატონო, ვყიდი, არ მინდოდა გამეყიდა, მაგრამ ხაზეინებმა დამავალეს და უნდა გავყიდო.

— როგორ თუ დაგავალეს?

— აი როგორ, ბატონო. ეს გაჭირვებული ბატკანი ერთ ხანს უადგილოთ იყო და ალმა-დალმა დასეირნობდა, მერე როგორც იქნა მიიღეს ერთ დაწესებულებაში რეგისტრატორის თანამდებობაზე. აქ მან საკმაოდ დიდი უნარი გამოიჩინა, ცოტა პროტექციაც ჰქონდა და საქმეთა მმართველად გადაიყვანეს, ბოლოს ერთ სამეურნეო დაწესებულების გამგეთ დანიშნეს.

— მერე და მაგ გაჭირვებულმა ვერ აუღო ალღო დღევანდელ ცხოვრებას. ერთ მშვენიერ დღეს მოგვივიდა ბრძანება: დაიცავით ეკონომიის რეჟიმიო, თქვენც არ მომიკვდეთ მაშინ სულ გადირია, დაავიწყდა ეკონომიაც და ბუღალტერიაც, მიჰყო ხელი უთავბოლო ხარჯებს და ბოლოს, საქმე იქამდე მიიყვანა, რომ დაწესებულებებიდან გმოაბრძანეს. ახლა გვინდა გავასაღოთ.

ეროვნული

# ღმერთის გაახალგაზრდავება

საიქიოდან გვატყობინებენ სენსაციურ ამბავს: ღმერთში ამ ბოლო ხანებში მოხდა მსოფლმხედველობის გადატეხა; და იგი ემხ-რობოდა „ცოცხალ ეკლესიის" მიმდევრებს, რომლებსაც დასაშ-ვებათ მიაჩნიათ ღვთის მოციქულებმა საერო კაცის ტანსაცმელი ჩაიცვან და წვერ-ულვაში ინგლისურად გაიპარსონ.

ღმერთი კიდევ შორს წავიდა.

მას სავსებით სწამს შტეინახის გამოგონება გაახალგაზრდავების შესახებ და პირველი ცდა თავის თავზე მოახდინა. ჩვენ პირ-ველ სურათზე ნაჩვენებია ღრმა-მოხუცი ღმერთი, რომელიც არ ემხრობოდა ცოცხალ ეკლესიას.

მეორე სურათზე ღმერთი ნაჩვენებია შტაინახის ოპერაციის შემდეგ.

იგი ძალიან ახალგაზრდად გამოიყურება; ერთს ხელში კვერთხის მაგიერ „ტროსტი" უჭირავს; მეორე ხელში კი ყვავილი, რაც მაჩვენებელია მისი ყოველმხრივი მოდერნიერების.



მოხუცი




გაახალგაზრდავებული

— მე წავიყვან,—სთქვა ტარტაროზმა.

— გამაკეთეთ თქვენის ხელით, მაგას რაღა ემჯობინება, ნახევარ ფასად დაგითმობთ.

ტარტაროზმა გაიგდო წინ ეკონომიის რეჟიმის დამრღვევი ბატკანი.

—:—

— მოდი ერთი ბატი ვიყიდოთ! სთქვა ტარტაროზინამ.

— ვიყიდოთ, რა ღირს ეს ბატი? იკითხა ტარტაროზმა.

— ორასი მანეთი.

— ასე ძვირი?

— ეს ამის მეათედი ფასი არ არის, ამას კუჭზე ხუთასი თუმნის ქონი ექნება.

— საიდან?

— ჰმ! საიდან? განა მე კი ვიცი საიდან, ვიცი მხოლოდ რომ ეს ამ ცოტა ხნის წინად კაი დიდი თანამდებობის ვინმე იყო. რაღაც სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებში მსახურობდა. მაგრამ იცით, როგორ ცხოვრობდა, გაფლანგვა რომ აღარ დაანებეს, მთელი თვეობით „კომანდიროვკებში" იყო, ხან ერთ ქალაქში მიბრძანდებოდა და ხან მეორეში. ამ კამანდიროვკამ კი კარგა ბლომად შემოსავალი მისცა, სხვა გამოსარჩენიც ბევრი ჰქონდა; ასე რომ ქათმების ქუჩაზე მარცვლეულობის მაღაზიაც კი გახსნა. ეს ამბავი გაუგეს და ახლა, როგორც ხედავთ, ამ ყოფაში ჩავარდა.

— მოიტა, მოიტა, მაგას აუცილებლად ვიყიდი. კაი გემო ექნება. სთქვა დაჩქარებით ტარტაროზმა.

— მაშ რაკი ესეა, ეს იხვიც თან წავიყვანოთ.

— უფასოდ?

— დიახ, უფასოდ.

— იმედი მაქვს მაგ იხვსაც თავისი ისტორია ექნება.

— დიახ, აქვს ცოტა, ეს გახლდათ ერთ-ერთი ადგილ-

# ტარტაროზკურებს

აი, აღდგომაც კარზე მოგვადგა.

კარს გვიკაკუნებს, ჩვენ კი საალდგომო მზადებაში ვართ გართული, ჯამს ვუკეთებთ ჩვენ ნამოქმედარს და ვხედავთ, რომ:

— ჯოჯოხეთი ხალვათობას განიცდის!

ბევრი გავატანეთ წყალს ჯოჯოხეთის კუთხისაკენ, მაგრამ ოდნავაც არ შენელებულა გადასახლების მწვავე საკითხი.

ჯერ კიდევ ბევრია ჩვენი ქვეყნის მადლიან ნიადაგზე ისეთი ორფეხი,რომელიც „თავის ტყავში ვერ ეტევა“ და მოითხოვს—ტყავგამძვრალი გაუყენოთ გზასა ჯოჯოხეთისასა.

ამ საკითხის მიზანშეწონილად გადაჭრა და ცხოვრებაში გატარება განსაკუთრებით ტარტაროზკორებს ევალებათ, მათ აბარიათ ჯოჯოხეთის ბჭეთა გასაღები, რამეთუ ჯერ კიდევ მრავალ არიან მეუფე მტერნი და ორგულნი საბჭოთა სინამდვილისანი, რომელთაც მოელის განსვენება და ცხოვრება უზრუნველი წიაღსა შინა ჯოჯოხეთისასა აწ და მარადის...

ამინ!

სწორედ ამიტომ ყურადიღეთ დეკრეტი და სისწორით გაატარეთ იგი.

ტარტაროზკორნო! შემოკრბით
და იქონიეთ ცილობა:
—საკურთხი მეტად ფასდება
თუ მღვდელთა გაკრეჭილობა?
თუ ხმაშეწყობით არიან
მღვდლებთან ჩარჩები ქებული?
მოწყენით ხომ არ ბრძანდება
ღირსეულ გვართა კრებული?
პანლურათ გვრი დაფასდა,—
ეს აზნაურთაც იციან:
—მღვდელი ჯორზე ზის აწ კიდევ
თუ ვირს ატარებს კვიციანს?

იქნება დეკანოზები
ვინმეს ცხონებას პირდება?
(ისიც გვაცნობეთ—ამ ჭორით
ხომ აღარავინ ვირდება)
გაგზავნეთ ჩქარა მდევრები,
იქნება სადმე მიაგნოს;
ჯამაგირიან სტაროსტას
ან საკურთხიან დიაკონს.
როგორ არიან უსაქმო
და უპენსიო ბერები?
უფრო გრძელი აქვთ ოლარი

თუ შეკრეჭილი წვერები?
ასწერეთ ყოველიფერი
ამბავი სატარტოროზო,
ნება გეძლევათ—ასეთნი
ადგილებზედვე გაროზგოთ,
ანგარიში კი მოგვეცით
მართალი სწორი, ხალასი,
რომ მაინც საახალკვირაოთ
სრული შეიქნეს ბალანსი!

**მორიელი.**

# წყლის ნაყვა



ანუ მეორე ინტერნაციონალის საქმიანობა

კომის პასუხისმგებელი მდივანი, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ მუშებისათვის არაფერს აკეთებდა, სულ ადმინისტრაციას უძვრებოდა. იმდენიც კი ვერ მოახერხა, რომ კრუხებს ორ-ორი თვის შვებულებაც ვერ აალებინა. კულტმუშაობას სრულებით არ ეწეოდა, ტარიფები და მუშების მდგომარეობის გაუმჯობესება ფეხებზე ეკიდა. ამიტომ ყველამ ერთხმად მოინდომა მაგის თავიდან მოშორება.

— მაშ მაგასაც წავიყვან,

ამოიდვეს ის იხვიც იღლიაში.

—:—

— უკაცრავად, იქნება ეს ქათამიც...

— წავიყვანო?

— მამალია ხომ?

— რასაკვირველია; ისიც ინგლისური ჯიშის.

— რატომ ყიდთ?

— შეგვაწუხა, ბატონო; საშეფო კომისიის თავმჯდომარეთ ავირჩიეთ, მაგრამ სოფელში საშეფო მუშაობისთვის რომ მიდიოდა, სულ ქეიფში ატარებდა დროს, იქიდან გამოაბრძანეს, ადმინისტრატორად შევიდა ერთ კულტგანმანეთლებელ დაწესებულებაში; არც იქ ივარგა. იქიდანაც პანლური ჰკრეს.

— მაშ მაგასაც წავიყვანთ, სთქვა ცოლ-ქმარმა, და იქირავეს ეტლი და ამ სანოვაგით დატვირთული გამოემგზავრენ სახლისკენ.

ეს იყო წითელ პარასკევს.

დიდშაბათს ტარტაროზმა ნაყიდი საქონელი გამოამზადა, შეაწვევინა, ფურნეში და კვირას შეუდგა ქეიფს დროს ტარებას.

ვისაც გული არ მოგიშლის ზევით ჩამოთვლილ თვისებების პატრონ ცხოველების მირთმევას, გთხოვთ მობრძანდეთ ტარტაროზის სამფლობელოში და მობრძანებითა თქვენითა გაახარეთ გული ტარტაროზისა.

**ვ. ტერსიტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მღვდელი:**

ღმერთო გაწყვიტე ეს კომსომოლი,
ეს რა ხალხია თქვენი ჭირიმე?..
მოვხუცდი მათი შემახედარი
და დღე ღამე მუდამ ვსტირი მე.

**ღმერთი**

ჩემი სურათი?.. ვინ გადაიღო?
ჟვანია არის შიხმანია?

**ღმერთი**

საქმეა ესე კომსომოლვაი,
მხატვარიც იმათ მოუყვანია.
არ გეკადრება ღმერთო რომ შენა
ეს გაგიბედოს ვინმემა სადმე,
ოხ კომსომოლო, პიონერებო,
იყავ წყეული უკუნისამდე.

**ღმერთი**

გამოვიწვიო უნდა ექსპერტი,
კარგად დავრწმუნდე ამ მზაკვრობაში
მსურს დამნაშავე ვპოვო, რომელიც
არს ჩათრეული ამ მხატვრობაში.

**მღვდელი**

ჰიო მეუფევ! როგორცა ხედავ,
ჭკუას გადაცდა შენი ცხოვარი
და მეც დაგირჩი უსაკურთხოთა
ვით დედაბერი გაუთხოვარი.

**ღმერთი**

ნეტავ საიდან გაჩნდა ეს ხალხი,
ან ეს წყეული კომსომოლია?
რამდენად მახსოვს მთელ დუნიაზე
ასეთი მრევლი ჯერ არ მყოლია.
თითქოს მე ვიყო კინო არტისტი,
ჩემი სურათი დააქვთ პლაკატად
აღარ მივხედავ არც მე უგნურებს,
გამომიცხადეს რაღგან ბლოკადა




# საქორწინო კანონი

(დასასრული*)

ფლავიანემ გაიარა კიპარისების ხეივანი, გადაუხვია ბაღის კუთხეს და მარჯვნივ, ყვავილებით დაფენილ ბორცვს მიაშურა.

— ეე, ახმახ!.. რა ხამივით დადიხარ! ბუზის ტოლა ველარ დაგვინახე? მრისხანეთ ჩასძახა ვიღაცამ მარჯვენა ყურში დ ერთი მაგარი მუჯლუგუნიც უთავაზა. ფლავიანემ უცბად თავი აიღო და დაინახა, მის წინ მკლავ გაყრილი ანგელოზები. ვაჟი ანგელოზი მუშტს უღერებდა მას, და როგორც იტყვიან „თვალებით სჭამდა“ მას. შეშინებულმა ფლავიანემ მხოლოდ თავი დაუკრა და რაღაც წაილუღლუღა.

—რას გვეჯახები შე ვირისთავო, გზა ველარ აგვიქციე? დამა-ანგელოზი კი ემუდარებოდა:

—აპატიე დუშკა, რამე თუ არა იცის რასა იქმს!...

ფლავიანეს გაახსენდა თბილისის ქუჩებში წესიერი მიმოსვლის შესახებ გამოცემული კანონი და გული გადა-

*) იხ. „ტარტაროზი“ №№ 44, 46.

უქმნდა, რადგან ეგონა, რომ „კეტუსკა"-ს ვერ ახილებოდა.

— არა, როგორ დაეთეგერი, რომ ვერ დაგვენახა? თუ ბეცია ახლები გაიკეთოს.

— ბერა ულვაშია და ვერ შეგვნიშნა, ხომ არ ფიქრობ, რომ ზადეკვანია გაშიკეთა?

— სწორეთ რომ ზადეკვანია მაშ რა ოხრობაა? ჰა მეთქი! ისე დავადო მაგ სიფაიში, რომ სულ ანგელოზები დაგიღრიალებო....

ფლავიანემ დიდი ბოლოში მოიბადა და აუხსნა პირველ კავალერს, რომ ის ბაშა კაცია, სამოთხეში პირველად შემოდგა ფეხი და იქაური წესებში არ იცნობს. შემდეგ გზას გაუდგნენ და ფეხ-აკრეფით გავშორა ღმერთისაკენ. უკანიდან კი ესმოდა დამცინავი სიცილები:

— კაი მარაქაც შეგვიტებიათ მამაგიცხონდა თუ!..

ბოლოსზე თვითი ღმერთის ქელა იყო ჩამოშვებული. მის ზუზუზ სიმებზუგებს ასვამ და ფეოდა მაღლა. ეხლა იგ მიაღწია საწოლლის; ღაინახა მამა ღმერთი და ღვთისმშობელი მარიამი. რამოდენიმე ნაბიჯით რომ დაუახლოვდა, გარეცელით გაიგონა ასეთი დიალოგი:

— ღვთაებო, შენ მაინც უთხარი რამე მაგ შენ ფრონტში! მთელი დღეები ვლის, და კარტსა თამაშობს, სალამოობით მიდის და რესტორანში ნიმფთა ქეიფობს—ანგელოზებს კი ჩემთან გზავნის. ჰაი გიდი ახასთუშან! რაში ენაღლელება ჩემი ქონება? მაგრამ იცოდე, ჩემს გარეშე ქვეყანას ვეღარ მეტის მოითმენს ალარ შევინახავ, თუ არ მოჰყვეობოდება, მაგასაც გავაჩხლურებ აქედან, მერე წავიდეს და იროკოს.

—შენ სხვა მეცლის გვერდი გაქვს; იცოდე ამიტომ ჩაიცვლი, რომ ის ღვთიური იოსების ბეჭში გვიჩია და ჩემი სიწყვე არა გჯერა. იქნება მოქალაქეობრივი გამბედაობა და პირდაპირ მითხარი, რას მიდამიდებ?

— კიდევ ღვთიური იოსები!.. არა, როგორ ბედავ ამ ჯურის ხსენებას ჩემს წინაშე; მე ღმერთი ვარ თუ არა?

— ეს მართალია რომ საკითხავია—ღმერთი რომ იყო, ჯამბოლები სიკეთეს არ დაგინგრევდნენ და ხალხს არ გაგიორგულებდნენ.

— დამაცადეთ იმათ, მე ვაჩვენებ ჩემს ძლიერებას: ისეთი ცეცხლის წარღვნა მოვიყვანო, რომ ქვა-ქვაზე აღარ დარჩეს!

ტრაბახს თავი დაანებე ის გარჩევნია! შენ ალარავინ გეთხოვს, ქვეყანას თავისი პატრონი გაუჩნდა, შენ კი შენს ანგელოზებს მიუბარე, რომელთაც ალარც სამოთხე სწამთ, ალარც შენი ხათრი აქვთ და ყველა ხის ძირში რომანი აქვთ გაჩაღებული.

— კარგი, გეყოფა გაკაპასება! თუ სამოთხეში ასეთი ამბებია, ყველის მაგალითის მიმცემი შენა ხარ, ყელყელს ნუ მოიჭრებინებ... რა უნდა გავაწყო ერთმა მოხუცმა ამდენ თავზე ხელაღებულ ხალხთან?!

— რა და ის, რომ ქორწინების ნება უნდა მისცე ანგელოზებს.





ვინა ხარ, ვინხარ...

— ღვთაებო, ქორწინებაზე მეც ბევრს ვფიქრობ, მაგრამ ერთი მითხარი ვინ შეგვრთავს ჯვარს? ყველა იერარქები სულწმინდელები არიან და ჯოჯოხეთში მიდიან, ერთი სიცი არ გვყავს, რომ ჯვრისწერა-დაწერება მოგვეცეს.

ამ დროს ფლავიანემ უცბად ცხვირს დააცემინა.

ღმერთი და მარიამი შეკრთნენ და ლაპარაკი შეწყვიტეს.

— ვინა ხარ ყაჩაღო, ასე უზრდელად თავს რომ წამოგვადექი? შეუტია მამაღმერთი.

ფლავიანემ დაიწყო ლოცვით:

— მეუფეო, ზეციათო, ნუგეშინის მცემელო, მომიტევენ მე თანანადებნი ჩემნი და ნუ შემიყვანებ განსაცდელსა...

— მოკლედ მოჭერი, თუ ძმა ხარ, გრძელი ლაპარაკის თავი მე არა მაქვს.

— პაკეტი გახლავთ უფალო მიწიდან.

ეს სახალე ფერვარი შევიძინე, კარგია;
ბურჟუა-კაპიტალისტს უნდა ვართვა ხარკია,
ესენი მეშვებისთვის ხომ ბედმეტი ბარგია.
ტუავი კი ხაჭაპამნეთ გამოდგება, კარგია.
ჩემი ვალი ეს არის: წუნკლებს მოვხლი ღვლეჭია,
და თუმც რგოლებს*) ნაცვლად მათ ყელზე აქვთ ბანტები
მაინც როგოლებს*) ნაცვლად მათ ყელზე ბტუგა
მაინც მათ წუწკობაში ხომ არ შეცვლის ეჭვია

და მიტომ სჯობს შევიპყრა მე ეს დარდიმანდები.
არც ერთი მათგანი არ შველის ჩვენს გასაჭირს;
ზოგი ვითომ ლაქუცობს, გულში უდევს ავია,
ამათი შებრალება, დავიჯერე არა ღირს,
დროს გაიგებს—გეცემა, ყველა შემზარავია.
ლობილიდა ამათი ენისთვის არის ხაჭირი?
ჩვენებს მათი დაკარგვით არ დაწუდება გულია
ჯობს ამათი ტუავისგან წაღა-მენტი შევკერო
სულ ერთია, სახორცეთ ყველა დაკარგულია.

*) რგოლებს ეტიობენ კეთილშობილ ძაღლებს.

მამა ღმერთმა გამოართვა პაკეტი, გახსნა და დაიწყო კითხვა. კითხვის დროს სახე ათასნაირად შეეცვალა, ბოლოს აათვალიერ-ჩათვალიერა ფლავიანე, შემდეგ მარიამს გადასცა წერილი და შეეკითხა.

— მარეხია, შენ რას იტყვი?

მარიამმა გულდასმით წაიკითხა წერილი და გადაათვალიერა საჭირწინო კანონპროექტი. შემდეგ მხრები აიჩეჩა და ღმერთს გადაუჩურჩულა.

— რა დაბმარება და ზომების მიღება შეგვიძლია? სხვას ხომ ვერ აუკრძალავ იმას, რასაც შენ აკეთებ?

— მეც ასე ვფიქრობ.

— ასე ჰფიქრობ და მოიცადე ეგ ამბავი თავს რომ დაგვდგომია. მამა ღმერთი მიუბრუნდა ფლავიანეს და დიპლომატიურად უთხრა:

— ზირენვა ქვეყნის დასახსნელად, ჩვენს მოვალეობას შეადგენს, ჩვენ მივიღებთ სათანადო ზომებს, მაგრამ პრაქტიკულად ამ საქმის განხორციელებას მოკლე ხანში არ უნდა მოველოდეთ. პირადათ-მისმა შესახებ სანუგეშოს ვერაფერს გეტყვი; რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი გვექნება რომ სამოთხეში დარჩე, მაგრამ ულუფის მიცემა არ შეგვიძლია. მას შემდეგ, რაც ქვეყანა გამოიგულეთ, ჩემი სალაროც დაიცალა და ცხოვრება გაგვიძნელდა ნუ კი გეწყინება და თუ სხვა გზას მონახავ შენთვის უფრო იქნება. ღმერთი კრულვებით წამოდგა და მარიამს მიმართა:

— მარეხია, წავიდეთ სადილის დროა!..

ფლავიანე მარტო დარჩა. საშინელმა სასოწარკვეთილებამ მოიცვა ის და მძიმე საგონებელში ჩავარდა. რა ქნას? მიწაზე ხორცი აწვამა, ქვეყნის არევამ მას ბედი აწყვეტინა, ნუგეშს სამოთხეში მოელოდა და აქ ამორებდა სულით განცვეთებას, მაგრამ აქ უარესი ამბავი დახვდა. ისე, რომ ცოდვილი ქვეყანა მისთვის სანატრელი იქნება ეგონა. რა გზას დაადგეს ფლავიანე?

ამ ფიქრებში გართული ნელა გაემართა სამოთხის ბაღის კარებისაკენ, სადაც ანგელოზები წყვილ-წყვილად დასეირნობდნენ.

თეკა

# ფეშქეშ




უცდიდენ:—კვერცხსა დაგვიდებს მაგარზე უმაგრესსაო.
მაგრამ კვერცხისა მაგივრად, უზრდელმა რა ჰქნა ესაო.

# „ვიზიტზე“

მსურს პირველად რომ „ტარტაროზს“
მივაყენო ჯორი,
სააღდგომოთ ძღვენით სავსე
ხურჯუნები ორი.
შემდეგ მისი აგენტების
გამოვძებნო ბინა,
სავიზიტოთ კარს მივადგე
თუნდაც არ იყონ შინა.
„ზმუკს“ ლევარსის დიდ მეგობარს
ვეტყვი: „აღდგა ქრისტე“,
„ჭეშმარიტად“—იგი მეტყვის
„შენ აღდექი ისე“.
შემდეგ სხვებიც მეგულება,
„უჩარდია“, „ტერსტი“
მათ მიუძღვნა არ ეყოფათ
„სინდიკატი“ „ტრესტი“.
„მორიელიც“ კი გამოჩნდა
არ ვიცი რომელი,
უნდა ვნახო უსათუოდ
იგი ქვემძრომელი.
ერთს ვიცნობდი მე „მორიელს“
ძველ ხანა და დროში,
„ეშმაკს“ ხშირად ნახულობდა,
სჯობდა იუმორში.
იგი თუა მიულოცავ.
„ტარტაროზთან“ ძმობას,
აწვა თუ არის, მაინც გულით
ვეტყვი გამარჯობას.
შემდეგ მაზრებს გაუყვები
ვინახულებ ყველას,
აქეთ „წყეულს“ შევეყრები,
იქ „ჭოლოკს“ და „მელას“
„წაველაც“ კი შემეყრება
საჯაოხოს გზაზე,
რადგან იგი მხარე არის
შინდობილი მასზე.
ამის შემდეგ ბათომისკენ
დაუყვები ფეხით,
აქ კი ყველას ვესტუმრები
ნაჯახი და ხერხით. პ. ობოლი.

# იგავ-არაკი




კვერცხი ნახეს ვირთხებმა,—
მაგრამ როგორ წაიღონ?!
გააგორონ,—გატყდება,
ხელში როგორ აიღონ!

ბოლოს ხერხი მონახეს:
დაწვა ერთი პირ-აღმა.
გულზე კვერცხი დაიდო,
გაიტანოს რომ გაღმა.

პირველს კუდით მეორე
თვისკენ მიეზიდება...
ვინც არიან, თვით ხედავთ,—
[illegible]ხსნა არ სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უწინ და ეხლა




— გაკურთხოს ღმერთმა შვილო. შუბლში გეტყობა, რომ ღვთისნიერი კაცი გამოხვალ. მე აქედანვე გამჩნევ, რომ ბლაღოჩინი იქნები, და თუ კი ჭკვიანათ მოიქცევი, შეიძლება ეპისკოპოსობაც მიიღო. ხოლო თუ კიდევ უფ-რო ჭკვიანად იქნები, მაშინ კათალიკოსობაც შენი იქნება.



— აბა დელი, დელი დელი,
გახუჭული ჩვენი ღვდელი.
აბა დელი, დელასაო
მირჩევნიხარ ყველასაო.
ჰე ბიჭებო შეუტიოთ
ამ ბერ ტურა-მელასაო.



### ჩიბათი

მოვმართე ჩემი ქამანჩა
გუდაც გავსწპინდე ძველია,
მოგეხსენებათ: მესტვირის
მოვალეობა ძნელია.

ახლოსა არის, და ვნახოთ
ეს ჩვენი ალმასკომია,
რომელიც ყველა საქმეში
არის უქმადა მჯდომია.
ხომ არა აწყენს, ნეტავი,
რომ შეიფხანოს თავია?!
სოფლის გზებისა კეთება
ვფიქრობ არა არს ავია.

დაუკარ, ჩემო ქამანჩა,
არ შეგვიჩერდეს სტვირია,
კოოპერატივსა ვესტუმროთ,
თუმც მისვლა გასაჭირია.
არ არის: ნავთი, მარილი,
არც ჩითი ერთი ტკაველა,
სამაგიეროთ ბევრია:
მომპას-ირისი კრამელა.

ნიტიფორე და ნესტორი
სასწორზე სწონენ ხელებსა;
აბაზის პური თუ გინდა
შაურის მოგაშველებსა.

**მიშა ჩიბათელი.**

— —

### მესტვირული

დაუკარ ჩემო ქამანჩავ,
დაუკარ, დააჟღერეო
დიდი ხანია მე და შენ
ხმა ტკბილათ არ გვიმღერია.
ამიტომ გაგვითამამდენ
ფლიდები და ოხერია;
გამრავლდენ: მელაკუდები,
დაყლაპა, ბუზის-ჭერია.
ჩამოვუმღეროთ ნელ-ნელა
ყელ მოღერილი სტვირითო,
და ვათქმევინოთ ცოდვები
ყველას თავისი პირითო.
სუყველა დასნეულდება
უკურნებელი ჭირითო;
(აღარ ექნებათ მათ არე
საცეკვი და საჯირითო!)
სულ ყოველ დარგში შევიჭვრეტ
შევაღიღინებ სტვირსაო;
ზოგს ავაცეკვებ ბრუ დასხმულს,
ზოგს დაუგრძელებ ცხვირსაო.
აღვნიშნავთ ყოველ სიმრუდეს,
(თუმცაღა თქმაც კი სჭირსაო).
შევაჩვევ გამბეგაობას
მუშა და გლეხის შვილსაო.
აბა, დაუკარ, გენაცვა,
ასე უმატე ჟღერასო;
ცხრა წლედის გამგეს ვეახლოთ
მუდამ, რომ შფოთავს—ღელავსო.
ხშირათ ხმელ პურს სჭამს ბაზარში
ვითომც თვალს უხვევს ყველასო
ნეტა ვის მოატყუილებს,
დღეს ყველა იცნობს მელასო.
ჯერ ჩაუაროთ აფთიაქს
მკურნავ მალამოს სენისო.
ჩვენს ონისიმეს მკლავ მაგარს
ნებიერობა შვენისო.
აბა, დაუკარ ქამანჩა,
დაუკარ ნელა-ნელაო;
აქ სამდივნოში შევიდეთ
მოვინახულოთ ყველაო.
უკვე გაიგო მიშამ და
სიბრაზით ჩაახველაო;
მართლა გასუქდა წყეული
ცოტ-ცოტა ყველგან წველაო

## „დ ე ლ ე გ ა ტ ი“
### (ფიათურიდან)



— ამხანაგებო, კავშირის ყრილობაზე, რომელზე-
დაც თქვენ მიერ დელეგატად ვიყავი გაგზმვნილი . . .

— ადექი, კაცო, და ისე გაგვიკეთე მოხსენება

## შეცდარი მისამართი



მოაკითხა მამა ღმერთმა... აქ სწირავდა უწინ საბა.
ანაფორა ამშვენებდა, ტანზე ეცვა გრძელი კაბა.
მისი ლოცვა და ღაღადი ღმერთს ესმოდა ცაში მაღლა.
არ იცოდა მისმა ენამ არასოდეს ლოცვით დაღლა.
ჰო-და საბას სანახავად აქ მოსულა ღმერთი—მამა,—
მაგრამ როცა დაინახა,—ეს სურათი არ იამა.
დღეს იქ, სადაც იკითხოდა: მოციქული, სახარება,—
„კომსომოლებს“ გაუმართავს კომუჯრედის სხდომაკრება.

მოხერხებული კაცია
აქ ყველაფერი თელაო;
მღვდლობა აკლია, ტარტაროზ,
აკურთხე მუცელ-სქელაო.
კოოპერატივსაც ვესტუმროთ,
ისიც აქ არის გზაშიო
რაც ძველ ძმა-ბიჭებს გადარჩა
ვერ იგდეს მათ ხარხაშიო
დღეს იაგორი ათავებს
სასტუმრო „ფრაქციაშიო“.
ვარლამი ჯავრითა სკდება,
თეთრი ერევა თმაშიო.
ამბობს: მეც ერთი მრგებოდა:
გოჭი. კატლეტი, ხაშიო,
განა, რომ ჩამოვრჩებოდი
იაგორს სმა-ჭამაშიო?!
ტარტაროზ „რევიზიასაც“
თაქება უნდა თავშიო;
ბნელ საქმის „წაფუჩეჩებით“
ჩაყარეს ყველა წყალშიო
„წარმოკავშირში“ შევედით,
შევაღიღინოთ სტვირიო;
დიმინტრისა და ბეხუსა
მაღლა უჭირავს ცხვირიო.
ნამეტანს იბერებიან
აღარ უცინით პირიო,
იქაცა „რაღაც“ ამბავი
რომ დააყურო ყურიო
ბევრი ვეძებე გლეხკომი
მაგრამ ვერ ვპოვე ბინაო;
ლადიკომ, მაგრათ აკვანში
ჩაკოჭა, ჩააძინაო,—
სასადილოში შევიდეთ
ხრიალი აურ-ზაურით.
საღამოს დახლში არ არის,
ყურ გახვრეტილი შაური.
ვისაც კი უნდა მიირთვას
სუფრაზე კვატ-ინდაური,—
პასუხს არავინ არ აგებს
იქაურ, არც აქაური.
ასე არის ტარტაროზო
ეს ამბავი გასაკვირი
თუ მე ვისმეს მოვუჭორო,
დამიდუმდეს ენა-პირი,—
და ჭიჭიკოს გასახარათ
დე, დაიმსხვრეს ჩემი სტვირი.

კვინტაძე.

### ბათომი

გაზაფხული დადგა,
ტყეს ეცვალა ფერი,
კოდრაბანდისტების
მოაწია ჯერი.
ზღვის პირი გაივსო
სხვა და სხვაგვარ ხალხით,
ზოგი თეთრით დადის
და ზოგი კი თალხით.
კონდრაბანდას, ძმაო
ებრძვის დღეს სულ ყველა
(ყველა მას ყიდულობს
თუ კი დაახელა).
სასტიკი ბრძოლაა
გამოცხადებული,
(თუმც მას ყიდულობს
ვისაც კი აქვს ფული).
უფულო კი ებრძვის
რახან ვერ ყიდულობს,
კოდრაბანდისტები
ამითაც დიდგულობს.
სხვა რაღა მოგწერო,
ძმაო, გასაკვირი,
წამო ერთი ჩვენსკენც
იქირავე ვირი.
მასპინძლობა იყოს
აქ სტუმარის ჩვენი,
გაქეიფოთ უხვად,
გაგატანო ძღვენი.
შენთვის საძღვნოთა მყავს
ორი დიდი მღვდელი,
ერთი მიკიტანი,
გამოქნილი ძველი.
ნურიის ბაზარშიც
ამოვკრიფავ ზოგებს,
(აბა შენთვის, ძმაო
ვინ რას დაიზოგებს).
დასასრულ კვლავ მოგწერ:
მღვდელ ჩხიკვაძის ამბავს,
მიკვირს დღემდე იმას
რატომ არვინ ამბამს.
ემუქრება ყველას,
როორც წინა დროში,
ზოგს წაართვა ბინა,
ზოგს ფულების გროში.
მუშკორმა ამხილა
საქმე საგმირონი,
შერისხდა მოძღვარი,
შეურცხვა მირონი.

ბლიკვი.

## ვერის ბაღი

ბაღი ისე მორთულია,—
ყველა იმას ეტანება,
ყოველ ნაძვის ძირში არის
სიცოცხლე და ნეტარება.

ალმერთებენ „კაკო ყაჩაღს“
ხის ძირში რომ ჰქონდა ბინა,
და მისული მასთან ზაქრო
თვის გვერდით რომ დააწვინა.




ზოგი გრძნობა მორეული
პირის ლაწვებს ათამაშებს;
ზოგიც პირზე ეკონება
სიყვარულით სავსე ვაჟებს.

ამბობენ რომ: ჩვენც ასე ვართ
გმირი ზაქრო, გმირი კაკო...
აწ შენ იცი რასაც უზამ,
ტარტაროზო ამხანაგო. **ძნელ-ოღლი.**

—:—

## ნიხრი

ჩვენს სადგურში შეიკრიბენ:
ვარლამ, პლატონ, ანტონ ბარო.
ღვინო-სადილს ნიხრი დასდეს,
თან ჩაურთეს საცივს გარო.
ამ „**დიდ ხალხის**“ არ მეშინის,
ქედს მათ წინა არ ვხრი.
ხელფასს ცოტა მოუმატეს,
გადიდეს ბევრჯერ ნიხრი.
როცა ნიხრი დაასრულეს
შემოუსხდენ თეთრ მაგიდას,
—მორჩა ნიხრი ხელმოწერით.
დღესაც იქ სძევს მაგიდაზე
ნიხრი გუნდის შენაკმაზი.
სამი კაცი ზედ ხელს აწერს,
აღარ უნდა ლარი, ხაზი.

კუკუ.

—:—

## სოფ. ხრიხონისი

### რაჭის მაზრა

ჩვენი სოფლისა საქმე
მუდამ კარგია, როცა
მღვდელსა მივეცით რამე,
ან აღვადგინეთ ლოცვა.

—

ბევრსა სტკიოდა გული
ჩვენი გლეხობის ხსნაზე;
საქმე ჰქნეს მეტარ რთული
ამ სოფლის აღდგენაზე.

—

უნდა გავაცნო ყველას
მათი სახელი, ბინა...
მე არავის ვთხოვ შველას,
მხოლოდ დამიხვდით შინა.

—

პირველი გახლავთ დავით,
ღვინოს სვამს როგორც ხარი;
თუნდაც დაჰკიდო თავით
მუდამ ასეთი არის.

—

მეორე არის თედო,—
(ძველი მიკიტნის კაცი)
ტაბლა თუ ხელში იგდო
ეცემა როგორც ვაცი.

—

მესამე—მღვდელი ვანო
ნაზია მეტად ჭამით:
რაც უნდა მიუტანო
არა კადრულობს ჯამით.

—

ასეთი ბედით ჩვენში
სცხოვრობს მორწმუნე ყველა;
აგერ აპრილის თვეში
მღვდლისგან მიიღეს შველა.

—

ვისაც ჰქონდა ცოდვით
რამე ბოროტი ზრახვა,
ან „მაცდურების ბოდვით“
(რომლებმაც სჭამეს მარხვა)—

— —

სუყველა გადაიქცა
მორწმუნე-წმინდანებად;
ღმერთ-სამოთხისთვის იმათ
სული არ ენანებათ.

**ლ—უბნელი.**

## ჩიბათი

დაუკარ ჩემო ქამანჩავ,
მოჰყევი შენებურათო.

ვიაროთ ისევ მე და შენ
ძველი გზით ისევ ძმურადო.

—

ლამპად მაქვს სტვირი ქებული
ბნელი გზის სანათურადო,
და იარაღად ჩანგალი
ზურგების გასახურათო.

—

მსურს სამკითხველოს შორიდან
ჯერ ისევ დავაყურადო,
შემდეგ კი შიგა ვესტუმრო
ჩანგლითა უწმაწურადო.

—

შესვლა აქ სამკითხველოში
მიხვდება ხშირად-ხშირადო.
ყოველთვის არშიყ ქალ-ვაჟებს
შევები პირის-პირადო.

— —

აქ არშიყობენ მუდამ ჟამს
მკითხველთ იგდებენ ჩირადა,—
და ამიტომაც გამგესა
ვუძღვენ ჩანგალი ქირადა.

—

ვუცხუნე სხვებსაც მრავალსა
შეერგოს ხაჭაპურადა...
აწი ყოველთვის ვეცდები
არ დამრჩენ უმადურადა.

**ა. ტიტანი.**

—:—

## „სოფლის გმირები“

### ზუგდიდი

ტარტაროზ! უნდა გაგაცნო
ჩვენი სოფლისა გმირები,
ყველა მუშა და გლეხისგან
აგდებულ-დანამცირები.
პირველი არის დავითი
(ეს ანჩაბაძე—დიდია)
ჩამომავლობით თავადსა
სხვები ფეხებზე ჰკიდია.
იგი „კამანდრობს“ ძმა-ბიჭებს,
ქურდულ ზრდილობას მიმყოლი,
დაკარგულია კოლია,
მასთან ქარჩავა გრიგოლი.
გადაჰკვრენ წმინდა ნუნუას,
ასტეხენ აურ-ზაურსა;
ქუჩებში აღარ უშვებენ
უცხოსა და აქაურსა.
მათი მკლავაძურ გმირობით
კაცს ველარ მოუსვენია,
იმ კვირას კარგად მიბეგვეს
ერთი მშრომელი ჩვენია.
დროს ატარებენ, ლხინობენ,
საქმე ფეხებზე ჰკიდიათ,
(როგორ ვსთქვა?—ხელს რომ აფა-
რებს
მას ამხანაგი კიტია).

**ეკრანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობათა მიღება



„ბატი“-ს. (ქუთაისი) მგონი უფრო სწორი იქნება თქვენი ფსევდონიმი თუ მისი პირველი **Ი**-ს მაგიერ დავსწერთ **Ა**-ს. ალბად თქვენ შეგცდათ, თორემ თავისთავს ხომ უფრო იცნობთ!

ყოველივე სისულელე **„ხინამძღვილეს შეიცავს“**, თორემ ასე, რომ არ იყოს, მაშინ ვირთხები ვერ მოხსნიდენ თავს გუდას და ვერ იქეიფებდენ თქვენი ტახტის ქვეშ, რომელზედაც თქვენ იწევით.

თუმცა ვირთხებს თავხედობა ჩაუდენია თქვენს წინაშე, მაგრამ ეპატიებათ, რადგან თქვენც სჩადიხართ ამას ჩვენს წინაშე ასეთი წერილის გამოგზავნით.



ა-რო-ს. თქვენი თხოვნის: **„ეს მასალა უნდა იქნას დაბეჭდილი ორ მაისის ნომერში, თორემ მასალა გაუქმდება“**—შესრულება არ შეგვიძლია, რადგან **„ტარტაროზი“** დღეს—პირველ მაისს გამოვიდა.

ახირებულად მსჯელობთ: **შემწვარი გოჭი, ინდაური, პასკა და სხვა ასეთი კარგი საჭმელი ბურჟუაზიის მოგონილია და მუშა-პროლეტარმა იგი არ უნდა სჭამოსო.**

ვაჰხ! შე დალოცვილო, მუშა-პროლეტარს პირში გემო არა აქვს, თუ რა გგონიათ!?

**კვაჭის.** (ნიგოითი) თქვენ, როგორც ქურდი, არა ხართ ღირსი, რომ თქვენი „სატრფო“ ცოლად გამოგყვეს. ჩვენ ვბეჭდავთ თქვენი ლექსის რვა სტრიქონს, (რომლებიც მოპარულია სულცხონებულ სოლომონ ზურგიელიძის ნაწარმოებიდან), რათა დავუმტკიცოთ თქვენს „სატრფოს“ თქვენი ქურდობა, თითქოს თქვენ გწერთ თქვენი სატრფო:

საყვარელო ჩემო კვაჭო,
ნეტა მომცა შენთან ბინა,
რომ დავსტკბე შენი მზერით
და წაგყვე მალე ცოლად.
დედ-მამა თანახმა არის
შენი ჩემგნივ ცოლობაზე,
თუ ღმერთი გრწამს მალე ჰქენი,
ამისრულე ჩემი ნატვრა.

**მწიფეს.** (სენაკი) თქვენი წერილი მოვათავსეთ თანახმად თქვენი თხოვნისა **„ტარტაროზი“**-ს უახლოეს.... **გოდორში.**

**ნიკ-ტოს.** თქვენ გვწერთ, რომ:

**გთხოვთ დაგვიხატოთ სამორიგეო ოთახი სადაც ახალგაზრდა ექიმი კოცნის ახალგაზრდა ქალს. კედელზე წარწერა: „ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲝᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲔ ᲔᲥᲘᲛᲡ“. კარებზე ავადმყოფების რიგი. ესენი თავის საქმეს განაგრძობენ“.**

ამხ. ნიკ-ტო, აქ ჩვენ ვერაფერ დანაშაულებას ვხედავთ! ალბად **„კოცნით“** ავათ ყოფილა ის პატიოსანი მანდილოსანი და ამისათვისაც მიუმართავს (თანახმად წარწერისა) მორიგე ექიმისათვის. (ისე უნდა იცოდეთ, რომ ასეთ დროს ჭერეტა უზრდელობაა).

**უზზევს.** თქვენი წერილის გაშალაშინებამ შალაშინი წაგვიხდინა ისემოუხეშავი იყო იგი. მის გამოსწორებას არაფერი არ ეშველა.

**ზევნის ყაყაჩოს.** (კიკნაველეთის თემი) თქვენ გვწერთ:

**მილიციონერები: ვალოდია და მინაგო სოფელს აშინებს იარაღით. იყო ასეთი შემთხვევა: მივიდენ ოჯახში გადასახადის ასაღებად... დაშინებული დიასახლისი ქვაბში დაიმალა... მილიციონერებმა წაიღეს ქვაბი (არაყის გამოსახდელი), რომლშიაც ქალი იყო დამალული...**




სურათსაც გვიგზავნით. (ვათავსებთ), ტარტაროზი ადგილობრივ ადმინისტრაციას ავალებს ამ საქმის გამორკვევას. თუ მართლაც ასე იყო, დამნაშავენი იმავე ქვაბით გადმოგზავნილი იქნებიან ჩვენთან.

**„ტარტაროზის კვერთხს“.** (ჯუმათი) კონფერენციებს რომ რამე შესძლებოდა, ევროპის საქმე კარგად იქნებოდა, წმიდა მამებს“ ვერ უშველის კონფერენციები.

„შექანებულს“. (ლანჩხუთი) შე დალოცვილო, ამას ეძახი „პატარა წერილს“?! მაგრამ არ არის გასაკვირი რომ დიდი პატარად მოგეჩვენოს მართლაც „შექანებული“ ყოფილხართ. მიბაძვა დასაშვებია, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილი „შექანჯალებული“ გახდებით... ცოტა დაიცადეთ და ეღირსებით.

**ხრიალეთელს.** (სუფსა) გვწერთ, რომ:

გიგო, იაგორ, პროკოპი,
გრიგოლი, მასთან პორფილე,
სახლის პატრონი ყარამან
მათთან ჩვენი თეოფილე.

კარტს თამაშობენ მთელი ღამის განმავლობაში და ფულს აგებენ **„ოცდაერთში“**.

ეს ჩვენ არ გვჯერა; ოცდაერთში არასოდეს არ წააგებენ; ალბად ოცდაოთხში აგებენ.

**ფოლადს.** (ბათომი) რას ერჩით ღორებს, თუ კი:

ნატანების სადგურში
გავიარე შემთხვევით,
პირველ კლასის „ბუფეტში“
ზეიმობდენ ღორები.



იქნება სადგურის უფროსის ან „ბუფეტჩიკის“ მიერ და პატიმრებული იყვენ... ასე რომ მათ თავხედობათ არ ჩაეთვლებათ ეს საქციელი.

**ჭანჭულიას.** (სოფ. რკვია) რას იზამ, ძმაო: **ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.** მღვდელი ჭუმბურიძე პრასას არ მოიპარავდა, რომ მას ხურჯინი ძღვენით გაევსო მიცვალებულის ტირილში, სადაც მოტანილი ჰქონია ცარიელი ხურჯინი. ფოფოდია სახლში არ შეუშვებდა ცარიელ ხურ ჯინით.




ყოველ შემთხვევაში მღვდელ ჭუმბურიძეს პრასის ფასს ვერ გადაახდევინებთ, რადგან მას ბოსტანში დარჩენია ოლარი.

**კაპარჭკინას.** (ს. ამაღლება) ისე აგიშენდა ოჯახი, რომ შენ მასწავლებლად ვარგოდე. ამას არ დასწერდა შენი უკანასკნელი მოწაფე. საკითხი, რომელიც თქვენ გაინტერესებს, შეგიძლიათ უშუალოდ ნახოთ. ამ სულელურ წერილის შესახებ ჩვენ ვაცნობებთ სამაზრო განათლების განყოფილებას. სიცხე გაისინჯეთ.

**გრიშა ებეშვილს.** (აბაშა) შე კაი კაცო, „ვანოს ბედი“-ს შესახებ რომ სწერ, ის არ გირჩევნია შენს თავზე დასწერო რამე? აკი გაცნობეთ, რომ არ წავათქო.

**პრწყი მზე.** (ახალდაბა) თქვენ გვწერთ, რომ:

ქიმერიძეების მცხოვრებნი
ღარიბი არის წყალითა.

ღვინო დალიეთ, თუ წყალი არ არის,

რიგში ჩადგომა გვიხდება
და ჩამოჯდომა რელსებზე,
ძნელია მეტისმეტადა
დადგომა დიდხანს ფეხებზე.

რიგში წყლისათვის დგომა, აქაც ხშირია (მეტადრე გარე უბნებში), შეგიძლიათ; როცა დაიღლებით ფეხზე დგომით, „ჩამოჯდეთ რელსებზე“.

ბევრჯერ მივმართეთ აღმასკომს,
მაინც არ მოგვცა წყალია,—
და ქიმერიძეების გლეხობას
გულს გვეკიდება ალია.

თუ ალი გეკიდებათ, მართლა საჭირო ყოფილა წყალი.

შემდეგ იწერებით:

ალბად ჩვენი სადგურის უფროსს სძინავს და, ვშიშობთ, სადათას ძილად არ გადაიქცეს.

ესეც შესაძლებელია, მაგრამ როგორ უნდა გააღვიძოთ, როცა წყალი არ გქონებიათ რომ იგი შიგ აცურავოთ!

**გინას.** (ბათომი) როცა ჩვენ შევეკითხეთ ლევარსის: **ბათომის საბარგო სადგურში გყავს თუ არა დარაჯად ძმა გიორგი?**—უარყოფითი პასუხი მოგვცა... ასე რომ გიორგი როხროხაძის ლაპარაკი, თითქოს:

ჩემი ძმაი ლევარსიე
ჩემთან არის ვითა ბუზი;
მას აქებენ, და მე კი ვარ
შედარებით მასთან ტუზი,—

ტრაბახობაა მისი მხრიდან და სხვა არაფერი... ამიტომაც ნურც თქვენ იწუხებთ თავს მაზე წერით. როცა ლევარსიმ თქვენს წერილიდან წაიკითხა შემდეგი სტრიქონები:

...და შემდეგ კი დავამტკიცებ
ვინ ყოფილა გონიერი...
კიდევ ვამბობ: ლევარსიზე
გიორგაა ღონიერი—

ისე გაბრაზდა, რომ კინაღამ წამოვიდა მან, რათა: „მარილსავით დავფშნი იმ ყაზილარს ვინცხა არის“-ო.



ესეც აღდგნმა (ვერის დალმართზა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარტაროზი № 47




საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კამოს ქ. 68.